ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41233313**
თარიღი:**27/11/2023**

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 85-ე მუხლის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ მესამე კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინა სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის,სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაკტობრივი მოცულობის შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 16-ე მუხლის მეორე ნაწილის ,ა" ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის"შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სენაკი, შოთა რუსთაველის ქ №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი